პროგრამის აღწერილობა

„კლდე“ (Rock Solid) არის პროგრამა მოზარდთა კლუბებისთვის, რომელიც უკვე გამოიყენება მრავალი ეკლესიის მიერ მთელს მსოფლიოში. მისი მიზანია სახარების საინტერესო და ხელმისაწვდომი ფორმით გადმოცემა 11-14 წლის მოზარდებისთვის, რომლებიც ჯერ პირადად არ იცნობენ ქრისტეს. პროგრამა დაგეხმარებათ იდეებით და კარგად გააზრებული სტრუქტურით. რაც საშუალებას მოგცემთ , რომ რეგულარულად, მხიარულად და სასარგებლოდ ჩაატაროთ შეხვედრები. შესძლებთ ქრისტიანული გზავნილის მიწოდებას შემოქმედებითი და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. „კლდე“ (Rock Solid) გაკვეთილები ჩვეულებრივ ერთ საათზე ოდნავ მეტხანს გრძელდება, მაგრამ მათ აქვთ მოქნილი სტრუქტურა, ისე რომ საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ მარტივად შეამციროთ ან გაზარდოთ გაკვეთილის დრო.

კლუბის პრინციპები და სტანდარტები

1. სახალისო და საინტერესო

კლუბის ლიდერები ცდილობენ შეხვედრის ორგანიზებას საინტერესოდ, დინამიკურად და შემოქმედებითად. ამისათვის კლუბის პროგრამაში არის გამოყოფილი დრო თამაშებისთვის, კონკურსებისთვის, სხვადასხვა აქტივობებისთვის, რომლებიც შეხვედრის მთავარ თემას უკავშირდება.

2. ურთიერობების აშენება

კლუბი ყურადღებას ამახვილებს მოზარდების წახალისებას, რათა ერთმანეთთან დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე ლიდერებსაც ჰქონდეთ კარგი ურთიერთობა მოზარდებთან. რათა სახარების გაზიარება იყოს უფრო ადვილი. ნდობის დამყარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის გულწრფელი მეგობრული ურთიერთობები. ამისათვის, კლუბში უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალი დრო კომუნიკაციისთვის, მაგალითად ჩაის დროს. კლუბი ასევე მოიცავს დისკუსიის ფორმატს, სადაც ყველას შეუძლია აზრის გამოთქმა და მცირე ჯგუფებში საუბარი.

3. აქტუალური თემები

კლუბის თითოეული შეხვედრა საუბრობს მოცემულ ასაკისთვის აქტუალურ თემაზე. მოცემულ თემაზე მოზარდებს საშუალება აქვთ მიიღონ ცხოვრებისეული რჩევები ლიდერებისგან ან მოწვეული სპეციალისტებისგან. შეხვედრაზე დრო ეთმობა ლიდერებისგან მოსმენილი უნარ-ჩვევების ან რჩევების შემოქმედებით გამოყენებას, ან მოსმენილ მოწოდების პრაქტიკული გამოსავლის ძიებას / მოქმედებას, რომელსაც თინეიჯერები მთელის კვირის განმავლობაში გამოიყენებენ.

4. კეთილი უწყების გადაცემა

კლუბის თითოეულ შეხვედრაზე ლიდერები მოზარდებს სახარების მოკლე გზავნილს აწვდიან. როგორც წესი, ეს უკავშირდება განსახილველ თემას და მოზარდებს შეუძლიათ გაარკვიონ, თუ როგორ შეუძლია იესოს დაეხმაროს მათ ამ თემაში. კეთილი უწყების პრეზენტაციის ფორმატი არაუმეტეს 10 წუთისა და უნდა იყოს მოზარდებისათვის გასაგებ ენაზე .

5. გუნდური მუშაობა

კლუბის ჩატარება მოითხოვს გუნდურ მუშაობას და მოხალისეების ჩართულობას. რაც უფრო მეტი ჩაიდება გუნდურ მუშაობაში, მით უკეთესი იქნება კლუბის შედეგი. გუნდის თითოეული წევრი კლუბის მუშაობის ჯაჭვში მნიშვნელოვან რგოლად გრძნობს თავს და გუნდის თითოეული წევრი ცდილობს კარგი ურთიერთობები დაამყაროს გუნდში და მოზარდებთან.

6. თანამშრომლობა და თანადგომა ეკლესიის სხვაგვარ მოზარდთა მსახურებებთან

„კლდე“ (Rock Solid) კლუბი ეკუთვნის ადგილობრივ ეკლესიას, „ახალგაზრდობა ქრისტესთვის“ არის კლუბის პარტნიორი და პარტნიორობას ავითარებს „კლდე“ (Rock Solid) პროგრამის სხვა კლუბებთან. ასევე, „კლდე“ (Rock Solid) პროგრამა არის ეკლესიის მრავალ სტრუქტურირებული თინეიჯერული მსახურების ნაწილი. კლუბი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოზარდთა მსახურების სხვა მოდელებთან (ბანაკები, ჯგუფები და სხვ.). მაგალითად, კლუბის დასწრების გარკვეული პერიოდის შემდეგ მოზარდებს შეუძლიათ დაესწრონ ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფს და სხვა მსახურებებს.

კლუბის პროგრამის ძირითადი ნაწილები

1. თამაშების, კონკურსების, სიმღერების, ვიდეოების ნაწილი

- გახსნა-მისალმება," ყინულის დნობა " და შეხვედრის საწყისი ეტაპი.
- თამაშები (გუნდური, ინდივიდუალური, მოძრავი, შემოქმედებითი, თემატური და ა.შ.)
- განცხადებები - კლუბის მუშაობის შესახებ განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა საინტერესო და შემოქმედებითი მიდგომით.
- ვიდეო-ნაწყვეტები ფილმებიდან ან ვიდეოებიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ მოცემულ თემას.
- სიმღერები, დადგმები და სხვა პროგრამისთვის საჭირო ელემენტები

2. აქტუალურ თემებზე დისკუსია და სახარების მიტანა

- დისკუსია მოცემულ თემაზე (ზოგადი ან მცირე ჯგუფებში)
- აზრი ბიბლიიდან-კეთილი უწყების 5-10 წუთიანი წარდგენა, ბიბლიური შეხედულება მოცემულ თემაზე.
- მოქმედება: არის შესაძლებლობა, რომ მოზარდებმა იფიქრონ შეხვედრის თემაზე და მიიღონ პრაქტიკული გადაწყვეტილება, როგორ გამოიყენონ ის რჩევები, რაც მოისმინეს შეხვედრაზე მომდევნო კვირის განმავლობაში.
- დასკვნა-შეხვედრის მოკლე მიმოხილვა მნიშვნელოვანი პუნქტების მითითებით.

3. ჩაის ან წახემსების დროს ურთიერობა

გაკვეთილის მოდულები

დასაწყისი

როგორც კი მოზარდები მოდიან შეხვედრაზე, შევთავაზოთ ხალისაინი თამაშები , ასე წოდებული " ყინული დნობის " თამაშები ან თამაშები გაცნობაზე

განცხადება

თუ თქვენ უნდა გააკეთოთ განცხადებები შემდგომი შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ ან გამოაცხადოთ გაკვეთილის თემა, ეს მოდული გთავაზობთ შემოქმედებით იდეებს ასეთი განცხადებებისთვის.

თამაშები

თამაშები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კლუბის პროგრამაში. ისინი ქმნიან მხიარულ და ხალისიან ატმოსფეროს, ასწავლიან ურთიერთქმედებას და გუნდურ მუშაობას, ავითარებენ კოორდინაციას და აზროვნებას. ძირითადად, თამაშები იყოფა შემდეგნაირად:

- ყველა მონაწილეობს-როდესაც ყველა მონაწილე თამაშობს ინდივიდუალურად ან წყვილებში
- გუნდური-როდესაც მონაწილეები ასრულებენ დავალებებს გუნდებში, რაც ასწავლის მათ გუნდურ მუშაობას, გუნდის წევრობას და კომუნიკაციას.
- სცენაზე - თამაში რომელშიც რამდენიმე მოზარდი მონაწილეობს, დანარჩენები კი მათ უყურებენ.

თამაშების უმეტესობა გაკვეთილის თემას უკავშირდება და აქვს მოკლე დასკვნები, რომლებზეც მოზარდებს შეუძლიათ იფიქრონ.

ვიდეო

მცირე ვიდეო რგოლები ან ნაწყვეტები ფილმებიდან, რომლებიც წარმოადგენენ გაკვეთილის თემას ან ასახავს გარკვეულ იდეას.

განხილვა

დისკუსია არის საჯარო ან მცირე ჯგუფებში გაკვეთილის თემაზე. დისკუსიის დროს ყველას შეუძლია გამოხატოს აზრი მოსმენილის შესახებ. დისკუსია მოზარდებს მნიშვნელოვან საკითხებზე ფიქრისკენ უბიძგებს

აზრები ბიბლიიდან

უზრუნველყოფს ბიბლიურ პერსპექტივას თემაზე და დასკვნის გამოტანა სახარების ფასეულობებზე დაყრდნობით .

მოქმედება

პრაქტიკული იდეები შეხვედრაზე მოსმენილი ჭეშმარიტების გამოსაყენად მაშინვე ან მომდევნო კვირის განმავლობაში.

დასასრული

გაკვეთილის მთავარი ჭეშმარიტებისა და იდეების მოკლე შეხსენება შეხვედრის ბოლოს.

დანართი

ზოგიერთი მოდული შეიცავს დანართის ფაილს, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული მოდულის ჩასატარებლად.

«კლდე» კლუბისთვის რეკომენდირებული კრიტერიუმები

1. კლუბის გუნდი შედგება ადგილობრივი ეკლესიის მოხალისეებისგან.

2. კლუბის ლიდერებს აქვთ ცოცხალი ურთიერთობა ღმერთთან.

3. გუნდი გადის სწავლებას „ ახალგაზრდობა ქრისტესთვის“ კლუბის ეფექტური ორგანიზებისთვის და ჩატარებისთვის.

4. გუნდი იცავს ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვის შესახებ არსებულ კანონს.

5. რეკომენდებულია კლუბის შეხვედრა ჩატარდეს კვირაში ერთხელ

6. კლუბის შეხვედრის რეკომენდებული ხანგრძლივობაა 1.5-2 საათი

7. აუდიტორიის უმრავლესობა არა ეკლესიური / არა მორწმუნე თინეიჯერია, რადგან პროგრამა მიზნად ისახავს მათთვის სახარების მიტანას.

რჩევები კლუბის ჩატარებისთვის

დისციპლინა

კარგი დისციპლინის მშენებლობა კლუბის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს ასაკობრივი ჯგუფი შეიძლება იყოს არაპროგნოზირებადი და უკონტროლო. ამიტომ, მნიშვნელოვანია გარკვეული წესების და პატივისცემის დამკვიდრება, კარგი კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნა.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს რჩევები მოზარდების კარგი ქცევის ხელშესაწყობად:

1. განსაზღვრეთ მკაფიო წესები და განსაზღვრული საზღვრები და მიყევით მათ
2. იყავით თანმიმდევრული, სამართლიანი და მტკიცე თქვენს გადაწყვეტილებებში.
3. არ ჰქონდეთ ძალიან მძაფრი ემოციური რეაქცია მოზარდების ცუდ საქციელზე
4. შეისწავლეთ მოზარდების ფსიქოლოგია/მსოფლმხედველობა, რათა უკეთ გაიგოთ მათი ქმედებები. ხშირად წესების დარღვევა შინაგანი მიზეზებით არის გამოწვეული (ტკივილი, უარყოფა, რაღაცის დამტკიცების სურვილი, თვითდადასტურება, სიყვარულისა და გაგების ნაკლებობა და ა.შ.).
5. არ დაემუქროთ მოზარდს
6. არ იყვიროთ
7. უსამართლოდ ნუ დასჯით.
8. შეაქეთ თინეიჯერები, როდესაც ისინი კარგად იქცევიან. წაახალისეთ კარგი ქცევა.
9. შეეცადეთ გახდეთ თინეიჯერებისთვის კარგი მეგობარი და დაიმსახუროთ მათი პატივისცემა
10. შეიყვარეთ მოზარდი იესო ქრისტეს სიყვარულით.

გუნდური მუშაობა

- სწორად გაანაწილეთ გუნდის წევრებს შორის პასუხისმგებლობები. კლუბში არსებობს უამრავი შესაძლებლობა, სადაც მოხალისე ნახავს თავისი ნიჭისთვის გამოყენებას. გაითვალისწინეთ თითოეული მოხალისის შესაძლებლობები და ნიჭები რათა სწორი მიმართულება მისცეთ მათ პოტენციალს.

- განვითარდით როგორც გუნდი სულიერად და პროფესიონალურად. ერთად ისწავლეთ, ერთად მიირთვით, ერთად დაისვენეთ. გუნდის ეფექტურობას ხელს უწყობს ერთობა და კარგი ურთიერთობები.
- დაგეგმეთ თქვენი შეხვედრები ერთად. მოხალისეები თავს უფრო ჩართულად გრძნობენ, როდესაც ისინი წვლილს შეიტანენ და მონაწილეობას მიიღებენ გადაწყვეტილების მიღებაში.
- კლუბის შეხვედრის დროს გუნდის თითოეული წევრი უნდა იყოს თავის ადგილზე და შეასრულოს თავისი ფუნქცია.
- გაიზარდეთ სულიერად. კლუბის მიზანია მოზარდებს გააცნოს იესო. გუნდის წევრები სულიერად უნდა იყვნენ მოწიფულნი იმისთვის , რომ მოზარდებს გაუძღვნენ.
- შეინარჩუნეთ გუნდური სულისკვეთება.
- განავითარეთ მეგობრული ურთიერთობა.

კლუბის შეხვედრაზე :

- იყავით ხელმისაწვდომი მოზარდებისთვის , რომ შეძლოთ დაამყაროთ მეგობრული ურთიერთობა .
- იყავით შემოქმედებითი. გაუწიეთ ორგანიზება დინამიკურ, საინტერესო, ხალისიან შეხვედრას. გამოიყენეთ მუსიკა, განათება, დეკორაციები, იუმორი, ისტორიები, ვიდეო რგოლები და პროგრამის სხვა ელემენტები, რომლებიც აქტუალურია თქვენი თინეიჯერებისთვის.
- ყველაფერში აჩვენეთ ქრისტე: ქცევაში, სიტყვებში, დამოკიდებულებაში. იყავით კარგი მაგალითი თინეიჯერებისთვის.
- ილოცეთ შეხვედრამდე, შეხვედრის დროს. გახსოვდეთ, რომ ამ ყველაფრის მიზანია, უფალი დაელაპარაკოს მოზარდის გულს. პროგრამა კი მხოლოდ ინსტრუმენტია.

დროდადრო ჩაატარეთ კლუბის განსხვავებული შეხვედრები: ფილმის ჩვენება, პიკნიკი, ერთობლივი ექსკურსია, ეს გაამრავალფეროვნებს თქვენს შეხვედრებს და შექმნის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს მეგობრობის დამყარებისთვის.